ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი

2022 წელი

ანგარიში მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ „გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" პროექტის ფარგლებში, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვედეთის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 4

ძირითადი მიგნებები 5

ძალადობის მსხვერპლთა წვდომა დაცვისა და დახმარების სერვისებზე 6

თავშესაფარში არსებული გარემოსა და სერვისების შეფასება 8

ჯანმრთელობის დაცვა 10

სერვისით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და დასაქმება 12

საცხოვრებელი პირობები, ჰიგიენა და კვება 13

თავშესაფრის ადმინისტრაცია და პერსონალი 16

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრების შეფასება 17

რეკომენდაციები 22

შესავალი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით, სახელმწიფომ პოლიტიკის შემუშავებისა და სამართალდამცავი პირების მიერ შემთხვევებზე რეაგირების კუთხით, მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემურია ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მსხვერპლების მეორეული ვიქტიმიზაციისა და განმეორებითი ძალადობისგან ეფექტიანი დაცვა.

პანდემიის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ზომების ინტეგრირებას COVID-19 თან ბრძოლის გეგმებში. ამ მხრივ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა გამართული სერვისების არსებობა, ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების გაძლიერება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა სავარაუდო მსხვერპლებისთვის.

2021 – 2022 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მონიტორინგი განახორციელა საქართველოში მოქმედ ძალადობის მსხვერპლთა ყველა თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში.[1] მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა პანდემიის პირობებში გამოვლენილი ტენდენციების იდენტიფიცირება და არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების ხარისხის შეფასება. გარდა ამისა, შეფასდა სერვისით მოსარგებლე პირების საჭიროებები და თავად პერსონალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემური პრობლემები გამოვლინდა.

საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშის მიგნებები და რეკომენდაციები მომავალში ხელს შეუწყობს არსებული სერვისების უფრო მეტად დახვეწას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა, განათლების და დასაქმების მიმართულებით.

[1] კერძოდ, მონიტორინგის წევრებმა მოინახულეს ბათუმის, ქუთაისის, გორის, თბილისისა და სიღნაღის თავშესაფრები; ასევე, გორის, ქუთაისის, ოზურგეთის, თბილისის და მარნეულის კრიზისული ცენტრები.

მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები გეგმიურად, ადმინისტრაციასთან წინასწარ შეუთანხმებლად მოინახულა. მონიტორინგის მიზანი იყო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში არსებული მდგომარეობის შეფასება, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დადგენა. პირველადი მონიტორინგი განხორციელდა 2021 წელს,[2] ხოლო თანმდევი მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის პირველ ნახევარში.[3]

მონიტორინგის სამიზნე ჯგუფი თავშესაფრის სერვისებით მოსარგებლე სრულწლოვანი პირებისა და იქ დასაქმებული პერსონალისგან შედგებოდა. გამოყენებული იყო ნახევრად დახურული ტიპის კითხვარები.

მონიტორინგისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კოვიდ პანდემიაზე და პანდემიის გავრცელების პრევენციულ გზებზე, თუ რა მეთოდები და სტრატეგიები იქნა გამოყენებული თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მხრიდან, რათა უწყვეტად მომხდარიყო სერვისის გაცემა ძალადობის მსხვერპლთათვის. ასევე, ხაზი გაესვა ბენეფიციართა ჯანმრთელობას, დასაქმების შესაძლებლობებს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ არსებულ სერვისებს და მუნიციპალურ დახმარებას მსხვერპლთა გაძლიერებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, არაგეგმიური ვიზიტების საშუალებით, თავშესაფრებსა და თბილისის კრიზისულ ცენტრში ფიზიკური გარემოსა და კვების კუთხით არსებული მდგომარეობა შეამოწმეს. დაწესებულების თანამშრომლებისა და სერვისით მოსარგებლე პირების ინდივიდუალურად გამოკითხვის შედეგად, ასევე მოხდა ინფორმაციის მიღება შეთავაზებული სერვისების შესახებ.

მონიტორინგისას გამოიკითხა 12 პირი.[4] კითხვარები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ შესაძლებელი გაეხადა იმის შეფასება, რამდენად ფლობდნენ ბენეფიციარები ინფორმაციას ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, როგორი იყო მათი გამოცდილება სერვისებში ჩართვასთან დაკავშირებით, კმაყოფილები იყვნენ თუ არა თავშესაფარში არსებული გარემოთი და გაძლიერდა თუ არა როგორც მათი, ასევე მათი შვილების შესაძლებლობები.

მონიტორინგის კითხვარი თავშესაფრებში/კრიზისულ ცენტრებში დასაქმებული პირებისთვის ინდივიდუალურად იყო შედგენილი, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. კითხვარები მაქსიმალურად იძლეოდა იმის გაანალიზების შესაძლებლობას,

---

[2] 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბერში;

[3] 2022 წლის მარტში და აპრილში.

[4] გამოიკითხნენ მხოლოდ ის ბენეფიციარები, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაერთნენ მონიტორინგის პროცესში და რომლებიც, სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტის დროს, თავშესაფარში იმყოფებოდნენ. გამოკითხული 12 ბენეფიციარიდან, 11 სრულწლოვანი იყო, 1 - არასრულწლოვანი; 3 ბენეფიციარი გამოიკითხა გორის თავშესაფარში, 1 ქუთაისში, 2 ბათუმში, 3 სიღნაღში, 3 თბილისში.

თუ როგორია დანერგილი პრაქტიკა სერვისებით მოსარგებლე პირების საჭიროებების გამოსავლენად და დასაკმაყოფილებლად. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო თავად თანამშრომელთა ხედვა და გამოცდილება როგორც თავშესაფრებში არსებულ გამოწვევებთან, ასევე ზოგადად დაცვისა და დახმარების არსებულ სისტემასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან გამოითხოვა ინფორმაცია თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მომსახურებებით მოსარგებლეთა სტატისტიკის შესახებ. ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ასევე თავშესაფრების პერსონალისა და კრიზისული ცენტრის თანამშრომელთათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების/სემინარების შესახებ.

საბოლოოდ, გამოთხოვილი ინფორმაციისა და დოკუმენტირებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, მომზადდა მონიტორინგის ანგარიში, ძირითადი მიგნებებითა და თანმდევი რეკომენდაციებით.

ძირითადი მიგნებები

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია თავშესაფრით მოსარგებლე პირების კმაყოფილება მიღებულ სერვისებთან დაკავშირებით. წინა წლების მსგავსად, გამოკითხული პირები კმაყოფილი არიან თავშესაფარში მიღებული სერვისებით, ფიზიკური გარემოთი და კვებით. ასევე, შემცირებულია კონფლიქტური სიტუაციები როგორც სერვისით მოსარგებლე პირებს შორის, ასევე თავშესაფრის პერსონალთან მიმართებაში. მისასალმებელია, რომ განხორციელებული მონიტორინგისას არ გამოვლენილა პერსონალური მონაცემების გავრცელების, დარღვევის ან დაცვის მხრივ რაიმე ტიპის პრობლემა. გარდა ამისა, დაიხვეწა როგორც თავშესაფრების, ასევე კრიზისული ცენტრების თანამშრომლობა და კომუნიკაცია პოლიციასთან.

ამასთან, მისასალმებელია, რომ მონიტორინგის პერიოდში გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა[5] და თავშესაფარი სერვისით მოსარგებლე პირებს გაუმჯობესებულ საცხოვრებელ პირობებს და უსაფრთხო გარემოს სთავაზობს.

პანდემიის პირობებში, თავად თავშესაფრებში გამოწვევას წარმოადგენს ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი, მათ შორის გამართული ინტერნეტი. მონიტორინგის განხორციელებისას გამოიკითხა რამდენიმე არასრულწლოვანი ბენეფიციარი, რომლებიც

[5] გორის თავშესაფარში ასევე პრობლემური იყო ღობის არარსებობა, რაც მოგვარდა და არსებული გარემო უფრო მეტად უსაფრთხო გახდა.

გაკვეთილებს ესწრებოდნენ ონლაინ და არ ჰქონდათ ტელეფონები, ან პერსონალური კომპიუტერები; შესაბამისად, ვერ ხერხდებოდა მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართვა.[6]

ყველა თავშესაფარში პრობლემას წარმოადგენს სერვისით მოსარგებლე პირებისთვის პირველადი საჭიროების ნივთებით დაკმაყოფილება. გასული წლების მსგავსად, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა შემთხვევების მართვა.

რიგ შემთხვევაში თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებთან პრობლემურია,[7] რაც საჭიროებს დამატებით ძალისხმევას ქვეყანაში არსებული სერვისების უფრო მეტად დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. ასევე, გამოწვევად დასახელდა თავშესაფრის დატოვების შემდგომ მსხვერპლზე მორგებული სერვისების არარსებობა, განსაკუთრებით საცხოვრისის პრობლემა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაინერგოს/დაიხვეწოს მუნიციპალიტეტების მიერ მსხვერპლის მიმართ გასაცემი სერვისების არსებული წესი და უფრო მეტად მოერგოს არსებულ საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის დატოვების შემდეგ საცხოვრებელი ადგილის მოძიებაში მუნიციპალიტეტი დაეხმარა 36 პირს.[8]

რეგიონებში თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების პერსონალის მხრიდან ერთხმად აღინიშნა, რომ პანდემიის პირობებში საგრძნობლად შემცირდა პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

ძალადობის მსხვერპლთა წვდომა დაცვისა და დახმარების სერვისებზე

მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებაზე და ამავდროულად ოჯახის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობაზე. რამდენიმე პირმა ასევე აღნიშნა, რომ ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ მათი

[6] მაგალითად, გორის, სიღნაღისა თბილისის თავშესაფრებში პრობლემად დასახელდა პერსონალური კომპიუტერების, ან ლეპტოპების არარსებობა, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვან პირებს უწევთ ისარგებლონ თავშესაფრის პერსონალის პირადი კომპიუტერით, ან სხვა შემთხვევაში ვერ შეძლონ საგაკვეთილო პროცესზე დასწრება. თბილისის თავშესაფარში პრობლემად დასახელდა გაუმართავი ინტერნეტი.

[7] მათ შორის დაფინანსების, ბინის ქირით უზრუნველყოფის და მსხვერპლის გაძლიერებისკენ მიმართული სხვადასხვა პროგრამების არარსებობის გამო. აგრეთვე აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით, ბევრად გაუარესებულია თანამშრომლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან; პრობლემას წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ბიუროკრატია, რა დროსაც ჭიანურდება მსხვერპლის დახმარება. ქუთაისის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წინა წლებში ბევრად მაღალი იყო ინტერესი მათი მხრიდან სერვისით მოსარგებლე პირების დახმარებისა და გაძლიერების კუთხით.

[8] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5034; 22.06.2022.

თავშესაფარში განთავსების შესახებ, რადგან არ სურდათ ამ ფაქტს პრობლემები გამოეწვია მათთვის. ამავდროულად, თავშესაფარში განთავსების შესახებ ინფორმაციის დამალვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ოჯახის წევრებსა და მოძალადეს შორის კონფლიქტის თავიდან აცილება იყო.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პროცესში გამოკითხულ ბენეფიციართა უმეტესობა დადებითად აფასებს პოლიციასთან ურთიერთობას და მათ რეაგირებას, რა დროსაც ამომწურავად მიიღეს ინფორმაცია თავშესაფრის, ან კრიზისული ცენტრების შესახებ. თუმცა, გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სამართალდამცავი უწყებისთვის არ მიუმართავთ, ან უწყების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ნეგატიურ გამოცდილებაზე გაამახვილეს ყურადღება.[9]

გამოკითხულ პირთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მოძალადის დაკავებისა, მათ მიერ საპატიმროს დატოვების შემდეგ კვლავ ხორციელდებოდა ძალადობა.[10] მოძალადეთა რეაბილიტაციის პროგრამებზე მსხვერპლებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ, რადგან ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ ეს აუცილებელია, ხოლო ზოგიერთის აზრით, მოძალადის გამოსწორება შეუძლებელია. თავშესაფრის შესახებ სერვისით მოსარგებლე პირების ნაწილს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან მიეწოდა ინფორმაცია, ნაწილმა კი ამის შესახებ მეგობრისგან/ნაცნობისგან გაიგო.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელ ხაზზე (116006) შევიდა 1864 შეტყობინება.[11] თემატიკისა და სქესის მიხედვით ცხელი ხაზზე შესული ზარების სტატისტიკა შემდეგნაირია:

---

[9] აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი გამოკითხულის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, როდესაც ახმეტის პოლიციის განყოფილებაში ძალადობის შესახებ განაცხადა და თავშესაფარში გადაყვანა ითხოვა, განუცხადეს, რომ თავად უნდა ჩასულიყო თბილისში და პოლიციის ნებისმიერ განყოფილებაში დაეხმარებოდნენ. მისი თქმით, ამის გამო ახმეტიდან თბილისში ტაქსით წამოვიდა და 150 ლარის გადახდა მოუწია.
პოლიციის განყოფილებაში მას განუცხადეს, რომ თავად უნდა უზრუნველყო კახეთიდან თბილისის თავშესაფრამდე ტრანსპორტირება,

[10] მაგალითად, სიღნაღში გასაუბრება მოხდა 2 ქალთან, რომლებმაც არაერთხელ ისარგებლეს თავშესაფრის სერვისით, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მათი, როგორც მსხვერპლის გაძლიერება და დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადება ვერ მოხერხდა.

[11] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/1986; 15.03.2022.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული მონიტორინგისას საკმაოდ დაბალი იყო გამოკითხულთა ცნობიერება ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზის შესახებ,[12] რაც დამატებით საჭიროებს შესაბამისი კამპანიების დაგეგმვას და განხორციელებას.

თავშესაფარში არსებული გარემოსა და სერვისების შეფასება

მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხული პირების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თავშესაფარში განთავსებამდე არ ფლობდა ინფორმაციას დაწესებულებაში არსებულ გარემოსა და პირობებზე და ჰქონდა უარყოფითი განწყობა. თუმცა, ადგილზე თავი იგრძნეს უსაფრთხოდ, რადგან კეთილსაიმედო და ოჯახური გარემო დახვდათ. მათი შეფასებით, რომ არა თავშესაფარი - მოუწევდათ ან მოძალადესთან დარჩენა, ან ქუჩაში ცხოვრება.

2021 წელს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მომსახურებით სულ ისარგებლა 436 პირმა.[13] ქვეყანაში არსებული თავშესაფრიდან ყველაზე მეტი სერვისი გასცა გორის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარმა (120), ხოლო ყველაზე ნაკლები სიღნაღის (63) და ბათუმის (69) თავშესაფრებმა.[14] სერვისით მოსარგებლე პირების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

[12] ჩატარებული მონიტორინგისას, გამოკითხული სერვისით მოსარგებლე 13 პირიდან, ძალადობის წინააღმდეგ არსებული ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციას ფლობდა 2 მათგანი.

[13] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/1986; 15.03.2022.

[14] აღსანიშნავია, რომ 2021 წლისგან განსხვავებით, 2022 წლის თანმდევ მონიტორინგზე შემცირებული იყო სერვისით მოსარგებლე პირების რაოდენობა თითქმის ყველა თავშესაფარში, ხოლო სიღნაღის თავშესაფარი მონიტორინგის განხორციელებისას ცარიელი იყო.



მონიტორინგისას აღინიშნა, რომ თავშესაფრით მოსარგებლე პირები იღებენ იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო სერვისებს. იურიდიული დახმარების კუთხით, სერვისით მოსარგებლე პირებს ძირითადად ესაჭიროებათ ზოგადი სამართლებრივი კონსულტაცია, განქორწინების საკითხებში დახმარება, დამცავი ორდერის გამოცემა, სასამართლოში წარმომადგენლობა, სარჩელის მომზადება, პოლიციასთან კომუნიკაცია, საალიმენტო საკითხები და სხვა. ფსიქოლოგი ბენეფიციარებთან მუშაობს ინდივიდუალურად, კოვიდ პანდემიის პრევენციის მიზნით ჯგუფური შეხვედრები შემცირებულია.

2021 წელს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის სერვისებით მოსარგებლეთა სტატისტიკა სქესის მიხედვით შემდეგნაირია:



დაწესებულებაში მცხოვრები დედების მხრიდან დადებითად შეფასდა ძიძის შტატის არსებობა თავშესაფარში. საყურადღებოა ისიც, რომ სერვისით მოსარგებლე პირთა ნაწილს უჭირს ადმინისტრაციასთან არსებული საჭიროებების შესახებ ხმამაღლა და თამამად საუბარი.[15] შესაბამისად, მნიშვნელოვანია თავშესაფრის პერსონალი უფრო პროაქტიული გახდეს სერვისების შეთავაზებისას, რათა სხვადასხვა საჭიროებები მაქსიმალურად გამოვლინდეს და შემდგომში - დაკმაყოფილდეს.

გამოკითხული პირების უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას თავშესაფარში მოქმედი აკრძალვების შესახებ და კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ თავშესაფარში სტუმრების მიღება დაუშვებელია უსაფრთხოებიდან გამომდინარე. გამოკითხულთა ნაწილი ასევე ფლობს ინფორმაციას გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, თუმცა მისი გამოყენების თაობაზე კონკრეტული მაგალითები არ ფიქსირდება.

რაც შეეხება თავშესაფრების უსაფრთხოებას, აღსანიშნავია, რომ ქუთაისის, ბათუმისა[16] და თბილისის გარე ინფრასტრუქტურა საჭიროებს შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას, განსაკუთრებით მათთვის განკუთვნილი სივრცის გამოყოფას.

თბილისის თავშესაფრის დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ღობის არარსებობის პირობებში მნიშვნელოვანია თავშესაფარი უზრუნველყოფილი იყოს ვიდეო თვალით, რომლის შესახებაც ინფორმირებულია ხელმძღვანელობა, თუმცა პრობლემა ამ დრომდე არ გადაჭრილა.

გარდა ამისა, კვლავ პრობლემურია ბათუმის თავშესაფრის ადგილმდებარეობა, სადაც არაერთხელ მომხდარა დაპირისპირება უცხო პირებს შორის, მათ შორის იარაღის გამოყენებით. აღნიშნული ფაქტები ძალადობა გამოვლილი პირებისთვის დამატებითი სტრესის მომტანია და ვერ აჩენს დაცულობის და უსაფრთხოების განცდას. გარდა უსაფრთხოებისა, ყველა თავშესაფარში არსებული ინვენტარი საჭიროებს განახლებას,[17] ხოლო ქუთაისის თავშესაფარი ინვენტარის განახლებასთან ერთად საჭიროებს რემონტს.

ჯანმრთელობის დაცვა

მონიტორინგის განხორციელებისას, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პანდემიის მართვაზე და მისი გავრცელების პრევენციაზე. გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სიცხის გაზომვა[18] ხდება თავშესაფრის პერსონალის მხრიდან და ასევე, კვირაში 2-ჯერ უკეთდებათ სწრაფი ტესტები. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები

[15] მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ თავშესაფარში განთავსებულ პირებს ჰქონდათ საცვლების საჭიროება, ასევე ჯანმრთელობის და იურიდიული სერვისებით სარგებლობის აუცილებლობა, თუმცა არ იცოდნენ, რომ აღნიშნულ საჭიროებებზე შესაძლებელი იყო თავშესაფრის პერსონალთან საუბარი და შემდგომში - მათი დაკმაყოფილება.

[16] პერსონალის მხრიდან აღინიშნა, რომ წვიმის დროს შეუძლებელია თავშესაფრის ეზოში გადაადგილება, რადგან მთლიანად იტბორება.

[17] განსაკუთრებით, ეს ეხება სიღნაღის სამზარეულო ინვენტარს.

[18] აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფის თერმოსქრინინგი არ განხორციელებულა არცერთ დაწესებულებაში, გარდა სიღნაღისა.

თავად სთავაზობენ მსხვერპლებს კოვიდ ვაქცინაციას და თავადვე უზრუნველყოფენ მათ რეგისტრაციას და ტრანსპორტირებას სხვადასხვა კლინიკებში.

მისასალმებელია, რომ თავშესაფრებში სერვისით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მართვის გასაუმჯობესებლად დაინერგა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებებთან დაიდო ხელშეკრულება, რაც ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობას უფრო მოქნილს ხდის. ხელშეკრულებები გაფორმდა ასევე სააფთიაქო ქსელებთან, რომლის ფარგლებშიც წინასწარ შეთანხმებული მედიკამენტებისა და თანხის ფარგლებში თავშესაფრებს წამლები მიეწოდება. თავშესაფარი ასევე უზრუნველყოფს სექსუალური გზით გადამდებ დაავადებებზე მსხვერპლთა შემოწმებას და შემდგომ მკურნალობას. აქ თავშესაფრებში მედიკამენტების მიღებას და განაწილებას უზრუნველყოფს მედდა, ექიმთან ვიზიტს - სოციალური მუშაკი, ხოლო ტრანსპორტირებას - თავშესაფრის მძღოლი.

მიუხედავად ამისა, გამოწვევად დასახელდა არსებული ბიუროკრატიული საკითხები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს თავშესაფრის მოსარგებლე პირებისთვის გამართული სერვისის მიღებაზე, განსაკუთრებით მედიკამენტების მხრივ.[19] აქვე აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, პირველადი მედიკამენტების არსებობა დაწესებულებებში ბევრად შემცირებულია.[20]

თავშესაფრების მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა ნაწილს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია იმ სამედიცინო სერვისების შესახებ, რომლითაც შეუძლიათ სარგებლობა თავშესაფარში ყოფნის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ გორის თავშესაფარში ასევე იმყოფებოდა არასრულწლოვანი 4 თვის ორსული, რომელიც არ ყოფილა სამედიცინო შემოწმებაზე.[21] თუმცა, გამოიკითხნენ ისეთი პირებიც, რომლებიც კმაყოფილნი იყვნენ თავშესაფრის მიერ შეთავაზებული სამედიცინო სერვისებით და ისარგებლეს როგორც ექიმთან კონსულტაციით, ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კვლევების დაფინანსებითაც.

---

[19] ბათუმის თავშესაფარში გამოკითხულმა პირმა აღნიშნა, რომ ბავშვს ჰქონდა სიცხე და ადგილზე არ ჰქონდათ სიცხის დამწევი, რის შედეგადაც გამოიძახეს სასწრაფო. ასევე, სჭირდებოდა კბილის წამალი და მედიკამენტის გამოწერა ჭიანურდებოდა. სიღნაღის თავშესაფარში ერთ-ერთმა გამოკითხულმა პირმა ასევე აღნიშნა, რომ ესაჭიროებოდა ექიმთან ვიზიტი, თუმცა დაწესებულების მანქანა გაფუჭებული იყო და ვერ მოხდა მისი ტრანსპორტირება. კერძოდ, ბავშვისთვის ესაჭიროებოდა უროლოგი, ხოლო თავად უნდოდა გინეკოლოგთან ვიზიტი და აღნიშნული არ დაკმაყოფილდა. ასევე, მისი 8 თვის შვილს არ ჰქონდა გაკეთებული სავალდებულო აცრები და თავშესაფრის მხრიდან ვერ მოხერხდა პედიატრთან ვიზიტი.

[20] ქუთაისის თავშესაფარში მედდის ოთახში არ ინახებოდა არანაირი წამალი, გარდა იმ მედიკამენტებისა, რომლებსაც იღებდნენ ბენეფიციარები. ბათუმის თავშესაფარში მედდის ოთახში ინახებოდა მცირე რაოდენობის პირველადი საჭიროების წამლები, ასევე ის მედიკამენტები, რომლებსაც იღებენ ბენეფიციარები. ბათუმის თავშესაფარში გაფუჭებული იყო თერმოსქრინინგის აპარატი. სიღნაღის და გორის თავშესაფარში მედდის ოთახში ინახებოდა როგორც პირველადი საჭიროების მედიკამენტები, ასევე ის წამლები, რომლებსაც იღებენ ბენეფიციარები.

[21] არასრულწლოვანის თავშესაფარში შემოსვლიდან გასული იყო 1 თვე.

სერვისით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და დასაქმება

თავშესაფრებში განთავსებული პირებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები და ისეთი უნარებით აღჭურვა, რომლებიც მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოამზადებს.

სერვისით მოსარგებლე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას და მხარდამჭერი წრის მოპოვებას უზრუნველყოფს სოციალური მუშაკი, რომელიც ასევე ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაზე. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში კიდევ უფრო შემცირდა მსხვერპლთა დასაქმებისა და პროფესიული განათლების შესაძლებლობები. 2021 წლის განმავლობაში, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრების მხარდაჭერით დასაქმდა 39 ქალი და 1 კაცი,[22] რაც 2021 წელს სერვისით მოსარგებლე პირთა საერთო რაოდენობიდან საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და საჭიროებს მეტ ძალისხმევას.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის განხორციელებისას დიდი ყურადღება ეთმობა ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი წრის არსებობის/გაფართოების საკითხს. მისასალმებელია სოციალური მუშაკების ძალისხმევა, რომლის თანახმადაც გაზრდილია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი წრე. 2021 წელს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის/ კრიზისული ცენტრის დატოვების შემდეგ სერვისით მონაწილე პირების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მონაცემები შემდეგია:[23]



ოზურგეთსა და ბათუმში დაფიქსირდა პრობლემა, რომლის თანახმადაც პროფესიულ სასწავლებელში მიღება წელიწადში 2-ჯერ, წინასწარ განსაზღვრულ დროს არის შესაძლებელი, შესაბამისად, სასწავლებელში მიღების დრო ვერ ემთხვევა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებას. მოწოდებული ინფორმაციით, თავშესაფარში განთავსებული პირები ძირითადად საქმდებიან სერვისის სფეროში და გარდა ადგილობრივი ორგანიზაციებისა, თავშესაფრის პერსონალი პირადი კონტაქტების მეშვეობით ცდილობს მათი დასაქმების ხელშეწყობას. განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირების დასაქმება,

[22] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5034; 22.06.2022.

[23] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5034; 22.06.2022.

ვისაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ. თავშესაფრის ადმინისტრაციასთან საუბრისას ასევე გამოვლინდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც უჭირთ მსხვერპლთა დარწმუნება პროფესიული უნარების განვითარების საჭიროების კუთხით. აღინიშნა, რომ თავშესაფრით მოსარგებლე პირები ხშირად უარს აცხადებენ ამ შესაძლებლობაზე, რადგან ერთის მხრივ ვერ იაზრებენ საჭიროებას, ხოლო მეორეს მხრივ მათთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია საარსებო წყარო და შესაბამისად, პროფესიული განათლება ნაკლებ პრიორიტეტს წარმოადგენს. თავად სერვისით მოსარგებლე პირებში განათლების მიღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ითქვა, რომ მცირეწლოვანი შვილების გამო, მათთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს სასწავლებელში სიარული, ან ლექციებზე დასწრება.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში მცხოვრებ პირთა უმრავლესობა კმაყოფილია ფსიქოლოგის სერვისით და მიაჩნიათ, რომ ეს მათ რეაბილიტაციაში ეხმარებათ. ფსიქოლოგის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პირველ ეტაპზე ხდება ნდობის მოპოვება და საჭიროებების გამოკვეთა, რის შედეგადაც მუშავდება მართვის გეგმა და კონკრეტული მიზნები ისახება. ძირითადად შეხვედრები ტარდება ინდივიდუალურად, თუმცა ყოფილა ჯგუფური შეხვედრების საჭიროება და შემთხვევებიც.

საცხოვრებელი პირობები, ჰიგიენა და კვება

მონიტორინგის განხორციელებისას არსებული სერვისებით კმაყოფილების შემოწმების გარდა დიდი ყურადღება დაეთმო ფიზიკური გარემოს, ჰიგიენური ნივთების უზრუნველყოფისა და კვების საკითხებს.

ქუთაისის თავშესაფრის შენობა საჭიროებს რემონტს. კერძოდ, დაზიანებულია როგორც შენობის კედლები, ასევე ოთახების კარების სახელურები. გასული წლების მსგავსად ფარდა/ჟალუზები, ინვენტარი, ავეჯი და ტექნიკა საჭიროებს გამოცვლას. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უჭირთ ავეჯისა და შენობის ინვენტარის მოწესრიგებულ მდგომარეობაში შენარჩუნება, ვინაიდან თავშესაფრით მოსარგებლე პირები საცხოვრებელსა და მასში არსებულ ინვენტარს არ უფრთხილდებიან. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის თავშესაფარს არა აქვს მოწესრიგებული და იზოლირებული ეზო, შესაბამისად თავშესაფარში მცხოვრები მცირეწლოვნები ძირითადად შენობაში არიან და შესაძლებელია, რომ არსებული ინვენტარის ხშირი გაფუჭებაც ამ ფაქტთან იყოს კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში არის დამლაგებლის კადრი, მონიტორინგისას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები არ იყო დაცული და საერთო სივრცე საკმაოდ მოუწესრიგებელი იყო.[24]

[24] სააბაზანოსა და საპირფარეშოში არ არის ჰიგიენა დაცული და ანტისანიტარიაა. ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სააბაზანო ოთახი, ხოლო მეორე გაუქმებულია. სააბაზანოში ონკანი დაზიანებულია. ასევე ბენეფიციართათვის ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი საპირფარეშო, მეორე საპირფარეშო ასევე გაუქმებულია. დაზიანებულია უნიტაზი, არ მუშაობს ჩასარეცხი სისტემა. არ არის ხელის გასამშრალებელი ქაღალდი/პირსახოცი.

ქუთაისის თავშესაფარში კვების მარაგში ინახებოდა სხვადასხვა სახის რძის პროდუქტები[25] ვადების დაცვით და საკმარისი რაოდენობით. ასევე, ბოსტნეულის მარაგი იყო საკმარისი რაოდენობა და სახეობა. მაცივარში საკვები დაფასოებული იყო ჰიგიენური ნორმების დაცვით, იყო საკმარისი რაოდენობის საქონლის, ქათმის ხორცი და თევზი. ხილიდან იყო მხოლოდ ყურძენი და მსხალი, მარაგში იყო ასევე ორცხობილები. მენიუ შეესაბამებოდა დღის საკვებს.

ბათუმის თავშესაფრის საცხოვრებელ ოთახებში[26] არის საჭირო ავეჯი და საერთო ოთახში გამოცვლილია დივანი და სავარძლები. მუშაობს ტელევიზორი, არის ინტერნეტი და განახლებულია ბიბლიოთეკა, თუმცა სამზარეულოს კედლები საჭიროებს განახლებას და ზოგადად შენობა საჭიროებს რემონტს. სააბაზანო და საპირფარეშო გასულ წლებთან შედარებით მოწესრიგებულია. ონკანები და უნიტაზის სისტემა ასევე მოწესრიგებულია. კვების ბლოკის შემოწმებისას, ბათუმის თავშესაფარში რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ბურღულეული და ხორცპროდუქტი განთავსებული იყო ვადების დაცვით და საკმარისი რაოდენობით. ხილიდან იყო მხოლოდ ვაშლი. მენიუ შეესაბამებოდა დღის საკვებს. დაწესებულებაში არის საკმარისი რაოდენობის ჰიგიენის ნივთები, მათ შორის ბავშვებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის თავშესაფრის შენობაში, წინა წლების მსგავსად გამოწვევას წარმოადგენს იმავე ეზოში სხვა დაწესებულების არსებობა, რაც ვერ ქმნის უსაფრთხოების გარანტიებს. გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც დილის საათებში მათ ეზოში მოხდა მკვლელობა და მას შემდეგ ძალიან დაუცველად გრძნობენ თავს. თავშესაფრით მოსარგებლე პირების უსაფრთხოებისთვის მომავალში იგეგმება ღობის აშენება, რათა ცალკე გამოიყოს თავშესაფრის ტერიტორია.

გორის თავშესაფარში გარემონტდა შენობის პირველი სართულის სამზარეულო, საერთო ოთახი და კორიდორები. განახლებულია პირველი სართულის ავეჯი, ფარდა-ჟალუზები და ყველა საჭირო ინვენტარი. ასევე მოწესრიგდა დაწესებულების ეზო და გაკეთდა ღობე. გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია სანიტარული მდგომარეობა, თუმცა სააბაზანოში გამოცვლას საჭიროებს ონკანები და ასევე, საპირფარეშოებში არ იყო საპონი და ხელსახოცი. უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფარში მცხოვრებ პირთა ოთახებში მდგომარეობა არ შეცვლილა და კვლავ სარემონტოა.

გორის თავშესაფარში პროდუქტების მარაგში ინახებოდა სხვადასხვა სახის რძის პროდუქტები[27] ვადების დაცვით და საკმარისი რაოდენობით. ასევე, ბოსტნეულის მარაგი იყო საკმარისი რაოდენობა და სახეობა. მაცივარში ჰიგიენის დაცვით და საკმარისი რაოდენობით იყო საქონლის/ქათმის ხორცი და თევზი. ხილი იყო მრავალფეროვანი და მენიუ

[25] კარაქი, არაჟანი, რძე, მაწონი, ყველი, მაიონეზი ხაჭო.
[26] აღსანიშნავია, რომ პირველადი მონიტორინგის დროს (5 ნოემბერი, 2021) ბათუმში არ იყო ჩართული გათბობა.
[27] კარაქი, არაჟანი, რძე, მაწონი, ყველი, მაიონეზი, ხაჭო.

შეესაბამებოდა დღის საკვებს. დაწესებულებაში იყო ჰიგიენის ნივთების საკმარისი რაოდენობის მარაგი, მათ შორის ბავშვებისთვის.

სიღნაღის თავშესაფარში ზოგადი სანიტარული მდგომარეობა მოწესრიგებულია, თუმცა სააბაზანოში ონკანები საჭიროებს შეკეთებას/გამოცვლას. დაწესებულებაში შშმ პირისთვის განკუთვნილ ოთახს იყენებს სოციალური მუშაკი, თუმცა იგეგმება პირველი სართულის საერთო ოთახის გაყოფა და შშმ პირისთვის ცალკე ოთახის გაკეთება. დაწესებულებაში იყო ჰიგიენის ნივთების საკმარისი მარაგი, მათ შორის ბავშვებისთვის.

სიღნაღის თავშესაფარში პროდუქტების მარაგში ინახებოდა სხვადასხვა სახის რძის პროდუქტები ვადების დაცვით და საკმარისი რაოდენობით. ასევე ბოსტნეულის მარაგი იყო საკმარისი რაოდენობა და სახეობა. მაცივარში დაფასოებული იყო ჰიგიენის დაცვით და საკმარისი რაოდენობის საქონლის/ქათმის ხორცი და თევზი. ხილიდან იყო მხოლოდ ვაშლი. მენიუ შეესაბამებოდა დღის საკვებს.[28]

თბილისის თავშესაფარში საერთო ოთახის ავეჯი საჭიროებს განახლებას. თავშესაფარში დაცულია ჰიგიენის ნორმები და მოწესრიგებულია საპირფარეშოები და აბაზანა. დაწესებულებაში არის ჰიგიენის ნივთების საკმარისზე მეტი მარაგი, მათ შორის ბავშვების ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. თბილისის თავშესაფარს აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, თუმცა პრობლემურია ინტერნეტის გამოყენება.[29]

თბილისის თავშესაფარში რძის პროდუქტები არ იყო საკმარისი რაოდენობით, რაც ახსნილი იყო იმ ფაქტით, რომ პროდუქტების შესყიდვა ხდება მცირე რაოდენობით და ვადების დაცვით.[30] მაცივარში ხორცპროდუქტებზე მითითებული იყო ვადები და დაფასოებული იყო ჰიგიენის ნორმების დაცვით.

აღსანიშნავია, რომ **ყველა თავშესაფარში პრობლემას წარმოადგენს პირველადი საჭიროების ნივთების არსებობა, რომლის საჭიროების შესახებ საუბრობენ თავად სერვისით მოსარგებლე პირები.[31] არცერთ თავშესაფარში არ ხდება ისეთი საჭირო ნივთების შესყიდვა, როგორიცაა: დეოდორანტი, სავარცხელი, საცვალი, ლიფი, ჩუსტები და წინდები.[32]**

---

[28] სიღნაღის თავშესაფარში გამოკითხული პირების ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა ხილის და ყველის შეზღუდული რაოდენობის გამო.

[29] მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ ინტერნეტის არარსებობა პრობლემურია სკოლის ასაკის ბავშვებისთვის, რომლებსაც თავად უწევთ ინტერნეტის შეძენა, რათა გაკვეთილს დაესწრონ ონლაინ.

[30] აქვე აღსანიშნავია, რომ მაცივარში ინახებოდა ვადაგასული შედედებული რძე.

[31] მონიტორინგისას გამოიკითხნენ პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ სავარცხელი, ასევე ჰქონდათ მხოლოდ 1 საცვალი, მეძუძურ დედას არ ჰქონდა ლიფი და საცვლები.

[32] მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრებით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის საჭირო სავალდებულო ჰიგიენისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესყიდვა ხორციელდება ყოველწლიურად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დამატებითი შესყიდვა; სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5034; 22.06.2022.

ასევე, თავშესაფრებში გამოკითხული პირების უმრავლესობა არსებული კვების შესახებ გამოთქვამს კმაყოფილებას, თუმცა ასევე აღინიშნა, რომ მინიმალურად ხდება რძის პროდუქტების,[33] მათ შორის ყველის შეთავაზება და ასევე, იშვიათად არის ხილი.

თავშესაფრის ადმინისტრაცია და პერსონალი

თავშესაფრების პერსონალის[34] უმეტესობას[35] გავლილი აქვს ტრენინგები[36] ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. თუმცა აღინიშნა, რომ პანდემიის პერიოდში ბევრად შემცირდა პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, რამაც ასევე პროფესიული გადაწვის რისკებიც გააჩინა. ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენინგების მისაწვდომობა კვლავ პრობლემურია მედდებისთვის, რომლებთაც ყველაზე მეტი შემხებლობა აქვთ თავშესაფარში მცხოვრებ პირებთან. ოჯახში ძალადობის სპეციფიკაზე, მის ფორმებსა და გამოვლინებაზე ასევე არ უტარდებათ სწავლება თავშესაფრებში დასაქმებულ ბუღალტრებს, მძღოლებსა და დაცვას.

საყურადღებოა, რომ მარნეულის კრიზისულ ცენტრში 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა მხოლოდ 1 ტრენინგი, ხოლო ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში - 2 ტრენინგი.[37] ტრენინგის სიმცირე და პროფესიული განვითარების შესაძლებლობის არარსებობა, განხორციელებული მონიტორინგისას გამოწვევად დასახელდა თავად თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების პერსონალის მხრიდანაც.

აღსანიშნავია, რომ სიღნაღის თავშესაფარს 3 წელზე მეტია არ ჰყავს იურისტი და ამ ფუნქცია-მოვალეობებს სოციალური მუშაკი ითავსებს. საჭიროების შემთხვევაში თავშესაფარი სარგებლობს იურიდიული დახმარების ბიუროს მომსახურებით.

[33] რძის პროდუქტების (განსაკუთრებით ყველი) სიმცირე დასახელდა ბათუმის, გორის სიღნაღის თავშესაფრებში გამოკითხულ პირებს შორის.

[34] მონიტორინგის განხორციელებისას სპეციალურად შედგენილი კითხვარების საფუძველზე გამოიკითხა თავშესაფარში დასაქმებული პირები, კერძოდ: ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, მედდა, იურისტი და თავშესაფრის დირექტორი. გასაუბრება მოხდა შემდეგ პირებთან: მედდა, ბუღალტერი, ძიძა.

[35] ტრენინგებს ძირითადად ესწრება: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და იურისტი. ყველაზე ნაკლებად ტრენინგებში მონაწილეობას იღებს ძიძა, ბუღალტერი, დაცვის თანამშრომელი და მძღოლი.

[36] განხორციელებული ტრენინგების თემატიკიდან აღინიშნა: ლგბტ+ საკითხები, ტრეფიკინგი, ბავშვთა დაცვის საკითხები.

[37] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/5034; 22.06.2022.

ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის კუთხით გამოწვევად დასახელდა სამართალდამცავი პირების დაბალი მგრძნობელობა[38] და მსხვერპლებთან შემდგომი კომუნიკაცია.[39]

თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების პერსონალი და ადმინისტრაცია თვლის, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა შემთხვევების უკეთ სამართავად უმჯობესია გამოიყოს კადრი, ან საჭიროების შემთხვევაში დაიხვეწოს თანამშრომლობა შესაბამის პროფესიონალთან, რომელსაც ასევე მიუწვდება ხელი ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა ბაზაზე, რაც უფრო მეტად გააუმჯობესებს, როგორც ამ პრობლემის მქონე პირთა ჯანმრთელობის მართვას მედიკამენტების კუთხით, ასევე სერვისის მიმღებ პირთა მშვიდ ცხოვრებას შეუწყობს ხელს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრების შეფასება

მონიტორინგის ფარგლებში ვიზიტი განხორციელდა ქუთაისის, გორის, მარნეულის, თბილისის და ოზურგეთის კრიზისულ ცენტრებში.[40] მისასალმებელია, რომ რეგიონში, კრიზისულ ცენტრში სერვისით მოსარგებლე პირთა კონფიდენციალობა უზრუნველყოფილია იმით, რომ მათ მიერ სერვისის მიღება ხდება სხვადასხვა დროს.

2021 წელს ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების მომსახურებით სულ ისარგებლა 612 პირმა,[41] საიდანაც ხელშეკრულებით ჩაირიცხა - 344. ქვეყანაში არსებული კრიზისული ცენტრებიდან ყველაზე მეტი სერვისი გასცა თბილისის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისულმა ცენტრმა (102), ხოლო ყველაზე ნაკლები ქუთაისის (23) კრიზისულმა. სერვისით მოსარგებლე პირების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

[38] ერთ-ერთი გამოკითხული პირის თანახმად, ახმეტის პოლიციაში განაცხადა ძალადობის შესახებ და მოითხოვა თავშესაფარში გადაყვანა, რის შედეგადაც პოლიციელმა უთხრა, რომ თავად უნდა უზრუნველყო თბილისამდე მგზავრობა და განყოფილებაში მისვლა დახმარების აღმოსაჩენად.

[39] მაგალითისთვის, თბილისის თავშესაფრის იურისტმა ისაუბრა ტენდენციაზე, რომლის მიხედვითაც მსხვერპლები პატრულთან გასაუბრებისას არ უთითებენ ფიზიკურ ძალადობაზე, რადგან პოლიცია წინასწარ აფრთხილებს მათ, რომ ფიზიკური ძალადობის მითითების შემთხვევაში იძულებული იქნება დააკავოს მოძალადე.

[40] ვიზიტები განხორციელდა 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, ხოლო თანმდევი ვიზიტები განხორციელდა 2022 წლის მარტსა და აპრილში.

[41] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/1986; 15.03.2022.



კრიზისულ ცენტრებში მსხვერპლები/სავარაუდო მსხვერპლები იღებენ შემდეგ მომსახურებას:[42] ფსიქო-სოციალური მომსახურება; სამედიცინო მომსახურება; სამართლებრივი კონსულტაცია/დახმარება; საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება. 2021 წელს ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების სერვისებით მოსარგებლეთა სტატისტიკა სქესის მიხედვით შემდეგნაირია:



ქუთაისის კრიზისულ ცენტრში[43] რეფერირება სერვისების მისაღებად ხდება სოციალური სამსახურის, პოლიციისა და ძალადობისგან დაცვის ცხელი ხაზის მიერ. კრიზისული ცენტრის პოპულარიზაციისთვის ძირითადად იყენებენ სატელევიზიო სივრცეს, გადაცემებს, ბუკლეტებს და შეხვედრებზე აჟღერებენ ინფორმაციას. თარჯიმნის მომსახურების

[42] ქუთაისის და გორის კრიზისულ ცენტრებში დასაქმებული პერსონალი პარალელურად მუშაობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში.
[43] მონიტორინგისას, ასევე თანმდევი მონიტორინგის განხორციელებისას გამოიკითხა იურისტი.

საჭიროება, ძირითადად რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამოვლინდა. ჯანდაცვის მიმართულებით დაფინანსება ხდება მხოლოდ ძალადობისგან გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში. სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს დამატებით აქვთ შესაძლებლობა ჩაიტარონ გამოკვლევები სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციურ დაავადებებზე. სერვისით მოსარგებლე პირთა უნარ ჩვევების გაძლიერებაზე ზრუნავს სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგთან მჭიდრო თანამშრომლობით. მოწყვლად ჯგუფებად ძირითადად გამოიყო თავშესაფრის მაძიებლები და ლგბტ პირები, რომლებსაც კრიზისული ცენტრი უწევთ შესაბამის მომსახურებას.

ქუთაისის კრიზისული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მუნიციპალიტეტების მხრიდან დახმარების მხრივ აღინიშნა ბინის ქირით უზრუნველყოფა, ასევე ბენეფიციარებისთვის ტექნიკითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით დახმარების კუთხით, საკვები ვაუჩერის მიწოდებით და ა. შ. სერვისის მიმღები პირები ძირითადად სერვისის სფეროში საქმდებიან.[44] ტენდენციის სახით იკვეთება, რომ ხშირად მსხვერპლები თავად არიან ეკონომიკურად ძლიერები, თუმცა მოძალადისგან ვერ მიდიან საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულების გამო. კრიზისული ცენტრის იურისტის მხრიდან ასევე პრობლემად სახელდება: მოსამართლეების მგრძნობელობა და ცნობიერება, უსაფუძვლოდ ორდერების გაუქმების პრაქტიკა, გირაოს შეფარდება, ძალადობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე, გავლენიანი მოძალადეები[45] და გრძელვადიანი სერვისების ნაკლებობა.

გორის კრიზისულ ცენტრში[46] მომართვიანობა ძირითადად ხდება სოციალური სააგენტოდან, იშვიათად - პოლიციიდან, ან პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისგან. მათთვის ამ დრომდე არ მიუმართავს შშმ პირს ან ლგბტ თემის წარმომადგენელს. ასევე არ დამდგარა თარჯიმნის საჭიროება. აღინიშნა, რომ სერვისით მოსარგებლე პირებს ძირითადად ესაჭიროებათ ფსიქოლოგის დახმარება. კრიზისული ცენტრი 300 ლარის ფარგლებში მედიკამენტებით უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლს და ასევე სექსუალური ძალადობის შემთხვევაში ატარებს დამატებით გამოკვლევებს სექსუალური გზით გადამდებ დაავადებებზე. აღინიშნა, რომ პანდემიის პერიოდში ნაკლებად ჰქონდათ სარეაბილიტაციო, ან საგანმანათლებლო პროგრამები. რაც შეეხება დასაქმებას, მოწოდებული ინფორმაციით, გორის კრიზისული ცენტრის სერვისით მოსარგებლე პირები უმეტეს შემთხვევაში უკვე არიან დასაქმებულები. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ წარმატებულ პრაქტიკას წარმოადგენს თანამშრომლობა ადგილობრივი რესტორნების ქსელებთან და სასურსათო მაღაზიებთან.

---

[44] კვების ობიექტებში, მერიის დასუფთავების სამსახურში, სტილისტად, მზარეულად, ასევე თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

[45] იურისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გავლენიან მოძალადეებში ასევე ხშირია „ქურდული სამყაროს“ წარმომადგენლები, რა დროსაც პოლიცია არ ახდენს რეაგირებას.

[46] პირველადი მონიტორინგისას გამოიკითხა იურისტი.

მარნეულის კრიზისულ ცენტრში[47] მსხვერპლთა გადამისამართება ძირითადად ხდება სოციალური სამსახურიდან და სახალხო დამცველის ოფისიდან. მისასალმებელია ფაქტი, რომლის მიხედვითაც კრიზისული ცენტრის მიმართ ნდობა გაზრდილია ადგილობრივ მოსახლეობაში, რამაც მიმართვიანობაზეც იქონია გავლენა. მიუხედავად ამისა, მარნეულის კრიზისულ ცენტრში პრობლემად დასახელდა ტრანსპორტის არარსებობა, რაც შეუძლებელს ხდის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას სოფლად მცხოვრები ქალებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მარნეულის კრიზისული ცენტრის თანამშრომლები არ ფლობდნენ ინფორმაციას მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ჯგუფის შესახებ და შესაბამისად, არასდროს დახმარებიან ამ ნაწილში.

პერსონალის მხრიდან აღინიშნა, რომ იმ პირებისთვის, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, ბევრად რთულია დასაქმება, ან პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. დადებითად შეფასდა ქალი პოლიციელების ჩართულობა ოჯახში ძალადობის საქმეებზე, თუმცა აღნიშნულის საპირისპიროდ ხაზი გაესვა კაცი პოლიციელების დაბალ მგრძნობელობას.[48] მონიტორინგისას გამოკითხული პერსონალის მხრიდან პრობლემებად დასახელდა თავად მარნეულის კრიზისულ ცენტრში თარჯიმნის კადრის არარსებობა,[49] დასაქმების მეტი შესაძლებლობები და ჯანდაცვის სერვისების დახვეწა.

ოზურგეთის კრიზისულ ცენტრში[50] გადამისამართება ძირითადად ხდება სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან; აგრეთვე, ზრუნვის სააგენტოდან და ნაკლებად - პოლიციის მხრიდან. კრიზისული ცენტრის სერვისების პოპულარიზაციის მხრივ აღინიშნა, რომ უმეტესად თავად ბენეფიციარების მხრიდან ხდება ინფორმაციის გავრცელება. კრიზისული ცენტრის მისაწვდომობის მხრივ ასევე აღინიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტის არარსებობა და ხშირია შემთხვევები, როცა ძალადობის მსხვერპლი, ან სავარაუდო მსხვერპლი ვერ მიდის სხვა ქალაქიდან, ან სოფლიდან კრიზისულ ცენტრამდე.

გამოკითხული პერსონალის თანახმად, პრობლემად იკვეთება დასაქმება და პროფესიულ განათლებაზე მისაწვდომობა.[51] მსგავსად სხვა რეგიონებისა, ოზურგეთშიც პრობლემურია იმ დედების დასაქმება, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები და არიან მარტოხელა დედები; განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, როდესაც ბაღები დაიკეტა. კრიზისული ცენტრის სერვისებით მოსარგებლე პირებს ძირითადად ესაჭიროებათ ფსიქოლოგის სერვისი,

---

[47] მონიტორინგისას გამოიკითხა იურისტი, რომელიც 2019 წლიდან ცენტრში მუშაობდა როგორც თარჯიმანი, ხოლო 2020 წლიდან - იურისტი. თანმდევი მონიტორინგისას გამოიკითხა ფსიქოლოგი, იურისტი და სოც მუშაკი (დირექტორი).

[48] ფსიქოლოგის მიერ აღინიშნა, რომ საერთოდ შეწყვიტა პოლიციასთან თანამშრომლობა, რადგან არ იციან როგორ ესაუბრონ მსხვერპლს და მის რეტრავმირებას ახდენენ. კერძოდ, ხდება მსხვერპლის დადანაშაულება და მგრძნობელობა აქვთ ძალიან დაბალი.

[49] კრიზისული ცენტრის იურისტი ასევე ითავსებს თარჯიმნის ფუნქციას, რაც ბევრად რთულს ხდის მის სამუშაო რეჟიმს.

[50] მონიტორინგისას გამოიკითხა სოც. მუშაკი. თანმდევი მონიტორინგის განხორციელებისას გამოიკითხა სოც მუშაკი და დირექტორი.

[51] მსგავსად აჭარისა, გურიაში მცხოვრები ქალებისთვის რთულია პროფესიული განათლების მიღება, რადგან კოლეჯში მიღება ხდება წელიწადში 2-ჯერ. გარდა ამისა უარყოფითად შეფასდა WORKNET.

თუმცა საჭიროების შემთხვევაში ასევე უზრუნველყოფენ მედიკამენტების მიწოდებას და ექიმთან ვიზიტს.

მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის კუთხით აღინიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით ბევრად გაუარესებულია მათი მხრიდან ინტერესი და ზოგადი კომუნიკაცია. კრიზისული ცენტრის თანამშრომლების მხრიდან სისტემურ პრობლემებად დასახელდა არსებული ბიუროკრატიული პროცედურები, რომელიც არ არის მორგებული მსხვერპლის საჭიროებებზე; ძალადობის დაფარული ფორმები, პოლიციის დამოკიდებულება მსხვერპლებთან და გასაუბრების წესები, გამოკითხვის პროცედურები და ქალი გამომძიებლების ნაკლებობა.[52]

თბილისის კრიზისულმა ცენტრმა[53] პანდემიის დროს მაქსიმალურად გამოიყენა ონლაინ პლატფორმები, რითაც შესაძლებელი გახდა მიმართვიანობის შენარჩუნება. აღინიშნა, რომ იურიდიული დახმარების მხრივ სერვისით მოსარგებლე პირები ძირითადად საჭიროებენ დახმარებას დამცავ ორდერზე, ალიმენტზე და ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სირთულეებად და გამოწვევად გამომძიებლებთან ურთიერთობა დასახელდა, ასევე მათი დაბალი მგრძნობელობა და პოლიციელების მიერ მსხვერპლებისთვის, ან სავარაუდო მსხვერპლებისთვის კრიზისული ცენტრის უფლებამოსილების შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

ფსიქიკური ჯანმრთელობის შემთხვევების მართვას ხაზი გაესვა თბილისის კრიზისულ ცენტრშიც. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პოლიციამ, ხშირ შემთხვევაში არ იცის სად წაიყვანოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირი; შესაბამისად მათთვის კრიზისული ცენტრი მოკლე დროში მოგვარებადი გამოსავალია. თუმცა ეს ტენდენცია ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყანაში არ არსებობს გამართული სერვისები, შესაბამისი პროფესიონალები და ცოდნა და ასევე სივრცე, სადაც ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების ჯანმრთელობის მართვის და მათი განთავსების შესაძლებლობა იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის კრიზისულმა ცენტრმა უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ასევე დაამატა უკრაინული ენის თარჯიმანი. განსხვავებით რეგიონებისა, თბილისში პრობლემად არ გამოიყო ტრენინგებზე დასწრება და პროფესიული განვითარება, რადგან დედაქალაქში უფრო მეტი შესაძლებლობა და რესურსია ამ მხრივ. აგრეთვე, წარმატებულ პრაქტიკად დასახელდა ადგილობრივ არასამთავრობოებთან, ბიზნესთან და საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობა, რომელთა რესურსი და ფინანსური დახმარება გამოყენებულია სერვისით მოსარგებლე პირთა როგორც დასაქმების, ასევე განათლების[54] ხელშესაწყობად. გარდა ამისა, აღინიშნა დასაქმების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმი და კარგი თანამშრომლობა, რაც კრიზისული ცენტრის

[52] მაგალითად დასახელდა ასევე გამომძიებლის მხრიდან სექსუალური შევიწროების შემთხვევა დაკითხვის დროს ძალადობის მსხვერპლი ქალის მიმართ.
[53] მონიტორინგისას გამოიკითხა იურისტი და კრიზისული ცენტრის დირექტორი.
[54] განათლების კუთხით ხდება არასრულწლოვანი ბენეფიციარების სწავლის დაფინანსება, აგრეთვე პროფესიული კურსების შესწავლის დაფინანსება.

სერვისებით მოსარგებლე პირებისთვის დამატებითი შესაძლებლობაა დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილების და შემდგომი დასაქმების კუთხით.

რეკომენდაციები

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- თავშესაფრებში განთავსებული პირები უზრუნველყოს ასაკის და სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით/ფეხსაცმლით და პირველადი საჭიროების ნივთებით;
- თავშესაფრით მოსარგებლე პირებს და მათზე დამოკიდებულ პირებს სისტემატიურად შესთავაზოს მრავალფეროვანი რძის პროდუქტები და სეზონური ხილი;
- თავშესაფრის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და სააბაზანო ტექნიკის შეკეთება მოხდეს უფრო პროაქტიურად;
- მოწესრიგდეს ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის თავშესაფრების ეზო როგორც პერსონალის, ასევე სერვისის მიმღები პირების უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
- უზრუნველყოს თავშესაფრებში ინტერნეტის გამართული მუშაობა;
- უზრუნველყოს თავშესაფარში დასაქმებული ყველა თანამშრომლის გადამზადება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;
- აწარმოოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია, მათ შორის ქვეყანაში არსებული მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ;
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სიღნაღის თავშესაფარში მოხდეს იურისტის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა;
- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებმა და კრიზისულმა ცენტრებმა გააძლიერონ მუშაობა ადგილობრივ პოლიციასთან, მათ შორის, კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრის უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების კუთხით.
- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებმა და კრიზისულმა ცენტრებმა გააძლიერონ მუშაობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებზე ინფორმირებულობის გაზრდისა და სპეციალური მხარდამჭერი პროგრამების შემუშავებისთვის.